



მუშათა და გლეხთა მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიკური საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამომცემა

1936 წ. დეკემბრის 15.

№ 29

ტფილისი,

შ ი ნ ა ა რ ს ი

სათევზაო და სანადირო მეურნეობა.

- 173. საქართველოს სსრ სამონადირო სარეწაო კოოპერაციის კავშირების წესდებათა დამტკიცებისა და რეგისტრაციის შესახებ.
- 174. საქართველოს სსრ-ში ნადირობის წესებისა და ვადების შესახებ.
- 175. ქალაქ ტფილისის გარშემო ათკილომეტრიან ზონაში ნადირობის აკრძალვის შესახებ.

სათევზაო და სანადირო მეურნეობა

173. დადგენილება ს.კ.ს.

საქართველოს სსრ სამონადირო სარეწაო კოოპერაციის კავშირების წესდებათა დამტკიცებისა და რეგისტრაციის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:
დაწესებულ იქნას, რომ საქართველოს სსრ სამონადირო სარეწაო კოოპერაციის კავშირების წესდებათ ამტკიცებს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მოადგ. ს. მებუყე.

1936 წ. ნოემბრის 3. № 1428.
ტფილისი.

174. დადგენილება ს.კ.ს.

საქართველოს სსრ-ში ნადირობის წესებისა და ვადების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

საქართველოს სსრ-ში ნადირობისათვის დაწესებულ იქნას ქვემოთდევნი წესები და ვადები და მათი მოქმედება გავრცელებულ იქნას საქართველოს სსრ-ის მთელ ტერიტორიაზე, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ტერიტორიებითურთ.

I. ზოგადი დებულებანი.

1. ნადირობად ითვლება თავისუფლად მყოფ გარეულ ნადირთა და ფრინველთა მოპოვება ცეცხლმსროლი იარაღით, ხაფანგით, მახით, ბადით, ძაღლებით, მონადირე ფრინველით და ქერის სხვა იარაღითა და საშუალებით.

2. ნადირობის უფლება საქართველოს სსრ-ის ყველა სანადირო სანახებე-ში, — გარდა ნაკრძალების, აღკვეცილებისა და განსაკუთრებული სანადირო სანახებისა, რომლებიც ასეთებად გამოცხადებულია განსაზღვრული წესისამებრ და სადაც ცხოველთა მოპოვება წარმოებს განსაკუთრებული წესების თანახმად, — ეკუთვნის იმ პირთ, რომელთაც აქვთ სამონადირო სარეწაო კოოპერაციის სისტემის ორგანიზაციების საწევრო წიგნაკები ან სამხედრო-სამონადირო საზოგადოების მოწმობები.

შენიშვნა. ერთიანი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან განთავისუფლებულთა გარდა, ყველა სხვა პირი იხდის ნადირობის უფლებისათვის დადგენილ სახელმწიფო ბაჟს.

3. სამეცნიერო ნადირობა წარმოებს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ დადგენილი განსაკუთრებული წესების თანახმად.

4. წესიერი სანადირო მეურნეობის მოწყობისა, სანადირო სარეწაო ცხოველთა და აგრეთვე სხვა სახის სასარგებლო, ძვირფას ან გადაშენების გზაზე მდგომ ცხოველთა შენარჩუნებისა და გამრავლების მიზნით ყოველი ის პირი, რომელიც ნადირობს, მოვალეა დაიცვას ყველა ქვემოაღნიშნული წესები.

ტყეებში (განსაკუთრებით წიწვიანში) მონადირენი მოვალენი არიან დაიცვან სიფრთხილის ყველა ღონისძიება ხანძრის საშიშროების წინააღმდეგ და არა ვითარ შემთხვევაში არ დატოვონ ჩაუმქრალი ცეცხლი.

5. სამონადირო სარეწაო კოოპერაციის სისტემის ორგანიზაციები და აგრეთვე სამხედრო-სამონადირო საზოგადოებანი მოვალენი არიან მოათავსონ მათ მიერ გაცემულ საწევრო წიგნაკებსა და მოწმობებში, ამა წესების გარდა, აგრეთვე ყველა იმ ნაკრძალის, აღკვეთილის და სხვა სანადირო სანახების ნუსხა, სადაც ნადირობა აკრძალულია, შეზღუდულია ან რეგულირდება განსაკუთრებული წესებით.

II. ნ ა დ ი რ ო ბ ი ს ხ ე რ ხ ნ ი .

6. აკრძალულია მთელი წლის განმავლობაში:

ა) ლელის და ბალახის წვა, ალის მიღლა აგზნება;

ბ) ფრინველთა კვერცხების შეგროვება და სასარგებლო ფრთოსანთა ბუდეების მოშლა;

გ) ქვემოჩამოთვლილ გამოჩაკლისების გარდა (მუხ. 9), ნადირ-ფრინველთა მასური მოპოვების ხერხთა (ბადე, ფარდა და სხვ.), აგრეთვე გამჭყუეტ და დამაშავებელ სამარჯვთა (ქამანდი, მახე, ხაფანგი, ჩიტების წებო, ორპოვების ამოთხრა), საერთო-საშიშ საშუალებათა (მოწამლვა, თოფების დაგუშაგება) გამოყენება და უმწეო მდგომარეობაში მყოფ ცხოველთა მოპოვება (მოლიბულზე შერეკვა, გაყინულ ფრინველთა დაჭერა, მათი ღამით ჭერა ანთებული სინათლით და სხვ.);

დ) მოსავლის აღებამდე ნათესებსა, ბოსტნებსა, ბაღებსა და საკარმიდამო ნაკვეთებზე ნადირობა (პატრონთა ნებადაურთველად);

ე) შემოვლით და ძახილით კურდღლის და ფრთოსნის წრეში გამოდევნა და ისე ჯგუფური ნადირობა;

ვ) ავტომატქანიდან, მოტოციკლიდან და ჰაერობლანიდან ნადირობა.

7. აკრძალულია ძალღებით ნადირობა აპრილის 1-დან აგვისტოს 1-მდე (გარდა ტყის ქათამსა (ვალდშნები) და გოქაზე (დუბელი) ნადირობისა).

შენიშვნა. მეძებარი ძაღლების მიტევა უთოფოდ ნებადართულია ნადირობისათვის აკრძალულ დროსაც, ხოლო არა უადრეს ერთი თვისა ნადირობის სეზონის განსნამდე, იმ ნაკვეთებზე, რომლებიც სპეციალურად მიჩენილია საამისოდ მონადირეთა ადგილობრივი კოლექტივის მიერ.

8. ნადირობის თითო ღღეში მონადირეს შეუძლია მოინადიროს: გნოლი და კაკები არა უმეტეს ათი ცალისა (ერთად), ჩლიქიანი ნადირი (გარეული ღორების გარდა) არა უმეტეს ერთი ცალისა.

თუ ნადირობა ერთ ღღეზე მეტად გრძელდება, ნანადირევ ფრინველთა რიცხვი შეიძლება გადიდებულ იქნას ერთი ორად.

ერთ მონადირეს მთელი წლის განმავლობაში უფლება აქვს მოინადიროს არა უმეტეს, ვიდრე სამი ცალი ჯიხვი, ნიამორი, ფსიტი (არჩვი) და შველი.

9. მე-6 მუხლის წესის გამოჩაკლისად:

ა) ჯგუფებისა და რაზმების (სამხედრო) ნადირობა რკალის შემორტყმით და ხმაურზე გამოდევნით ნებადართულია მარტოოდენ მავნე მტაცებელ ნადირზე და გარეულ ღორებზე; გარეულ ღორებზე ნადირობისას ერთ გასვლაზე, რამდენ დღესაც უნდა გაგრძელდეს იგი, შეიძლება მოკვლა არა უმეტეს 15 ცალისა;

ბ) ხაფანგისა და თვითმოქმედი მახის ხმარება ნებადართულია მავნებელ მტაცებელ მხეცზე ნადირობისათვის და აგრეთვე საგეგმო წესით ბეწვეულისა

და ნანადირვეის დამზადებისათვის, მონადირეთა ადგილობრივი კოლექტივის კონტროლით;

გ) ნადირ-ფრინველთა დასაქვრად თვითმოქმედი იარაღისა და მასური მოპოვების ხერხთა ხმარება (გარდა „ბ“ პუნქტში აღნიშნულთა) შეიძლება ნებადართულ იქნას საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა და ავტონომიური რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატების მიერ მარტოოდენ დაწესებულ ვადებში ნადირობისათვის და თვითეული სეზონისათვის ცალკე; ასეთ შემთხვევაში ნებადართულ ხერხთა და ქერის იარაღთა დაწვრილებითს ნუსხას ადგენს ნებადართვის მიმცემი მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი, ნადირ-ფრინველთა დამზადებულ ორგანიზაციებთან შეთანხმებით.

შენიშვნა. სანადირო-სარეწაო ფრინველთა ბადით ქერა აკრძალულია.

III. აკრძალული ნადირობა.

10. ნადირობა აკრძალულია მთელი წლის განმავლობაში:

ა) კავკასიის ირმებსა, დანიელებსა და ჯეირნებზე, აგრეთვე ნუტრიაზე (კოიბუ);

ბ) დედალ და ნუკრ (ერთ წლამდე) ჯიხვებსა, ნიამორებსა და ნუკრ ერჩვზე (ფსიტი), ხოლო აფხაზეთის ასსრ-ში—მამალ ჯიხვებზეც და აგრეთვე შვლებზე;

გ) ხოხობსა, დურაჯსა, ორივე სახეობის თეთრ ყანასა, ორივე სახეობის გედებსა და ჯეკ-სავათზე;

დ) ყველა სასარგებლო მტაცებელ ფრინველზე, როგორცაა: კირკიტა, პუსტელგა, ბოლობეჭედა (გარდა ჭაობის ბოლობეჭედისა), კაკაჩა (კანუკი) და ყოველგვარი ბუ (გარდა ზარნაშოსი);

ე) ყველა მგალობელ ფრინველზე (გარდა შაშვისა), კოდალასა და გუგულზე;

ვ) ყველა ცალკე მფრინავ მტრედზე, გარდა ქედნისა და გვრიტისა.

11. აკრძალულია ყოველგვარი ნადირობა შემდეგ სანადირო ნაკრძალებსა და აღკვეთილებში:

ლაგოდების ნაკრძალში;

ბორჯომის ნაკრძალში;

ფოთის ნაკრძალში;

თელავ-ყვარლის სახობზე ნაკრძალში;

გარე-კახეთის სახობზე აღკვეთილში;

ათკილომეტრიან ზონაში ტფილისის გარშემო (10 წლის ვადით).

12. საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, ავტონომიური რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს და ავტონომიური ოლქის მიწათმოქმედების საოლქო სამმართველოს უფლება აქვთ, უკეთუ

ადგილობრივი პირობების გამო საჭირო იქნება, აკრძალონ დროებით ნადირობა ცალკეული სახეობის სარეწაო ცხოველებზე.

IV. ნებადართული ნადირობის ვადები.

13. ნადირობა ნებადართულია შემდეგ ვადებში და შემდეგი სახეობის მსე-ცებსა და ფრინველებზე:

ა) ივლისის 30-დან დეკემბრის 1-მდე—როკოსა და შურთხე;

ბ) აგვისტოს 15-დან აპრილის 1-მდე—მწყერსა, ჩიბუხასა (ქოვილო, ბეკასი), პატარა ჩიბუხასა (პარშნევი) და სხვა წინტალებზე, ბატებსა, იხეებსა და წყლის სხვა ფრინველსა და ყველა სხვა მხეცსა და ფრინველზე, რომლებიც ცალკე არ არიან ჩამოთვლილი.

შენიშვნა 1. მამალი მწყერების მოსატყუებელი ძახილით დაქერა ნებადართულია მაისის 1-დან ივნისის 1-მდე;

შენიშვნა 2. დასავლეთ საქართველოში კრონშენკებზე ნადირობა ნებადართულია ივლისის 20-დან აპრილის 1-მდე;

შენიშვნა 3. ნადირობა ტყის ქათამზე (ვალდშნევი) ნებადართულია აგვისტოს 15-დან აპრილის 15-მდე, ხოლო გოქაზე (დუბელი) აგვისტოს 15-დან ივნისის 1-მდე;

გ) აგვისტოს 30-დან დეკემბრის 1-მდე—მამალ ჯიხვებსა, მამალ ნიამორებსა, მამალ შველსა და არჩვზე (ფსიტი);

შენიშვნა. აფხაზეთის ასსრ-ში ნადირობა ჯიხვებსა და შველებზე აკრძალულია (მუხ. 10, პუნ. „ბ“);

დ) სექტემბრის 30-დან იანვრის 1-მდე—გარეულ ღორებზე;

ე) სექტემბრის 30-დან იანვრის 1-მდე—გნოლსა და კაკაბზე;

ვ) სექტემბრის 30-დან თებერვლის 1-მდე—კურდღლებზე;

შენიშვნა. დასავლეთ საქართველოს და აჭარის ასსრ-ის ჩაის და ციტრუსების რაიონებში ნებადართულია პლანტაციებზე ნადირობა მთელი წლის განმავლობაში კურდღელზე, როგორც მავნებელზე.

ზ) ნოემბრის 1-დან აპრილის 1-მდე—წავზე;

თ) დეკემბრის 1-დან მარტის 1-მდე—მელაზე და კვერნაზე (ყვითელგულა და თეთრგულაზე).

14. საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, ავტონომიური რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს და ავტონომიური ოლქის მიწათმოქმედების საოლქო სამმართველოს უფლება აქვთ, უკეთეს ადგილობრივი პირობების გამო საჭირო იქნება, დროებით შეამოკლონ ვადები ნებადართული ნადირობისა ცალკეული სამრეწველო სახეობის ცხოველებზე.

V. ბრძოლა მავნებელ მტაცებლებთან.

15. მავნებელ მტაცებლად ითვლებიან:

ა) მხეცები: ჯიქი, გარეული კატები (ტყისა და ლელიანისა), ფოტეგორი, აფთარი, მგელი, ტურა, დათვი, მაჩვი და აგრეთვე მოხეტიალე კატები და ძაღლები;

ბ) ფრინველები: მიმინო, ქორი, თეთრკუდა არწივი, ჭაობის ბოლობექე და, ზარნაშო, კაქკაქი, ჩემა და აგრეთვე კვირიონი (მელელვია), ლაქო და ბელურა.

16. მავნებელ მტაცებელ ნადირ-ფრინველთა გაწყვეტა მთელი წლის განმავლობაში ნებადართულია ყველა ხერხით, გარდა საერთო საშიშ საშუალებისა, კერძოდ, საწამლავისა, რომლის გამოყენებაც, უკეთეს საჭიროა მგლების გაწყვეტა, შეიძლება საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა, ავტონომიური რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებისა და ავტონომიური ოლქის მიწათმოქმედების საოლქო სამმართველოს განსაკუთრებული ნებართვით და მონადირეთა ადგილობრივი კოლექტივის ხელმძღვანელობით და პასუხისმგებლობით.

შენიშვნა 1. ნადირობის აკრძალვის დროის განმავლობაში (აპრილის 1-დან აგვისტოს 1-მდე) მტაცებლის გაწყვეტა თოფით ნებადართულია მხოლოდ ორგანიზებული წესით სამონადირო ორგანიზაციების ხელმძღვანელობით.

შენიშვნა 2. სანადირო სანახებში უპატრონოდ მოხეტიალე ჯიშიანი სანადირო ძაღლები არ უნდა იქნან მოკლულნი, არამედ საჭიროა მათი დაჭერა; მათი პატრონები მიიციემიან პასუხისგებაში, როგორც უკანონო ნადირობისათვის.

17. ბაღების, ბოსტნებისა და ნათესების პატრონთ ნება ეძლევათ გაწყვეტონ ხოლმე მთელი წლის განმავლობაში თავის ნაკვეთებზე მავნებელი მტაცებლები ყველა საშუალებით, გარდა მოწამლისა.

18. მონადირეთა კოლექტივებს და ცალკე მონადირეებს ეკისრებათ ყოველგვარი ბრძოლა მტაცებლებთან, პირველ ყოვლისა მგლებსა და ტურებთან.

VI. გარეული ცხოველების ცოცხლად დაჭერა.

19. გარეული ცხოველების ცოცხლად დაჭერა შეიძლება მხოლოდ საქართველოს სსრ-ის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ნებართვით, ასეთი დაჭერისათვის არსებული განსაკუთრებული წესების თანახმად.

VII. ნადირობის პროდუქციით ვაჭრობის აკრძალვა.

20. აკრძალულია:

ა) შემდეგი სახეობის ნადირევის გაყიდვა: ჯიხვის, ფსიტის (არჩვი) შვლის, ჯეირნის, ხოხბის, გნოლისა და კაკბისა, იმ ნადირევის გარდა, რაც შემოწიღულია ისეთი ადგილიდან, სადაც ასეთი ნადირევის ვაჭრობა ნებადართულია;

ბ) ნანადირევისა და აგრეთვე ახლად გაცლილი ტყავის ყიდვა, გაყიდვა და გადაზიდვა ხუთი დღის შემდეგ დღიდან ნადირობის აკრძალვისა ამა თუ იმ ნადირზე ან ფრინველზე.

VIII. ზედამხედველობა ნადირობის წესებისა და ვადების დაცვისათვის

21. ზედამხედველობა ნადირობის წესების და ვადების შესრულებისათვის და სანადირო-სარეწაო ფუნის და სანადირო სანახების დაცვისათვის ეკისრებათ: საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა და ავტონომიური რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატების სახელმწიფო სამონადირო ინსპექციას და მის ადგილობრივ ორგანოებს, სარაიონო სამიწათმოქმედო განყოფილებებს, სასოფლო საბჭოებს და მათ რწმუნებულებს ნადირობისათვის, სატყეო ადმინისტრაციას და სამცველოს, მილიციას, სასოფლო აღმასრულებლებს და მილიციის დამხმარე ბრიგადებს, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლექტიური მეურნეობების რწმუნებულებს ნადირობისათვის, სამონადირო სარეწაო კოოპერაციის სისტემის ორგანიზაციებს და მათ რწმუნებულებს.

22. ნადირობის ამა წესების დარღვევა გამოიწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 89 მუხლის 1 ნაწილისა და 108¹ მუხლის თანახმად.

23. 21 მუხლში აღნიშნული პირების პირველ მოთხოვნისამებრ ყოველი მონადირე ვალდებულია დაუყოვნებლივ წარუდგინოს მათ თავისი დოკუმენტები ნადირობის უფლების შესახებ და სანადირო ჩანთა ნანადირევის გასასინჯავად.

24. ნადირობის წესების დარღვევის აღმოჩენისას, ის პირი, რომელსაც ეკისრება ზედამხედველობა ამ წესების შესრულებისათვის (მუხ. 21), მოვალეა: ა) გამოარკვიოს დამრღვევთა პიროვნება, ბ) ჩამოართვას მათ იარაღი, ქერის ხელსაწყო და უკანონო ნადირობის პროდუქცია, გ) შეადგინოს ოქმი წესების დამრღვევთა პასუხისგებაში მისაცემად სისხლის სამართლის წესით.

25. ოქმი ნადირობის წესების დარღვევის შესახებ გადაეცემა სარაიონო სამიწათმოქმედო განყოფილებას, რომელიც წარმართავს მას სათანადოდ და აღნუსხავს ყველა მიღებულ ოქმს.

26. ნადირობის წესების დამრღვევისათვის ჩამორთმეული უკანონო ნადირობის პროდუქცია გაყიდულ უნდა იქნას სახელმწიფო ან კოოპერაციული ორგანიზაციების მეშვეობით, ხოლო თუ დაყოვნება არ შეიძლება, თვით უშუალოდ ოქმის შემდგენელის მიერ, რაზედაც შეიძლება აქტი ორი მოწმის მონაწილეობით.

27. ჩამორთმეული სანადირო იარაღის, ქერის ხელსაწყო და უკანონო ნადირობის პროდუქციის გაყიდვით მიღებული თანხის 50% მიიქცევა ადგილობრივ ბიუჯეტში, ხოლო 50% იმ პირთათვის გასამრჯელოს მისაცემად, რომელთაც აღმოაჩინეს ნადირობის წესების დარღვევა.

ღარღვევის აღმომჩენთათვის მისაცემი გასამრჯელოს ანგარიშს შეადგენს სარაიონო სამიწათმოქმედო განყოფილება.

28. საზოგადოებრივი სარგებლობის გზის გარეშე ყოფნა თოფით, საჭერი იარაღით, სანადირო ძაღლებით და სხვა მისთ. ნადირობას ეთანაბრება.

IX. სანადირო იარაღი.

29. სანადირო ცეცხლსასროლ იარაღად ითვლება ისეთი იარაღი, რომელსაც აქვს სპეციალური სანადირო დანიშნულება და არ არის არმიის შესაიარაღებლად; ასეთი იარაღია საფანტის თოფი, ბიუქსფლინტი, სამლულიანი, პარადოქსი, შტუცერი და სპეციალური სანადირო შაშხანა.

30. შტუცერების, სანადირო ღარიანი შაშხანებისა და სანადირო ცივი იარაღის (დანა, ხანჯალი) შენახვა-ტარებაზე ნებართვას იძლევიან შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ორგანოები.

სხვა სანადირო იარაღის შესანახად და სატარებლად საჭიროა სამონადირო სარეწაო კოოპერაციის წიგნაკი ან სამხედრო სამონადირო საზოგადოების მოწმობა, რომელშიაც ეს იარაღი უნდა იყოს აღნიშნული.

X.

31. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატსაბჭოს შემდეგი დადგენილებანი:

ა) 1935 წ. მაისის 16-ის თარიღის და 619 №-ისა— „ნუტრიაზე (კოიპუზე) ნადირობის აკრძალვის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1935 წ. მე-16 №-ი, მუხ. 106);

ბ) 1935 წ. აგვისტოს 2-ის თარიღის და 1001 №-ისა— „საქართველოს სსრ სანადირო ფაუნის დაცვისა და სანადირო მეურნეობის განვითარების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1935 წ. 25 №-ი, მუხ. 141);

გ) 1936 წ. ოქტომბრის 27-ის თარიღის და 1389 №-ისა— ხოხობზე ნადირობის აკრძალვის შესახებ“ (გაზ. „კომუნისტი“ 1936 წ. № 251).

საქ. სსრ ს.კ.ს-ის თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

საქ. სსრ ს.კ.ს-ის საქმეთა მმართველის შოადგ. ს. მებუკე.

1936 წ. ნოემბრის 3. № 1417.

ტფილისი.

175. დადგენილება ს. კ. ს.

ქალ. ტფილისის გარეშემო ათკილომეტრიან ზონაში ნადირობის აკრძალვი შეხახებ.

ქალაქ ტფილისის მიდამოებში ფაუნის შენარჩუნებისათვის საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღგენს:

აიკრძალოს ათი წლის ვადით. 1946 წლის ნოემბრის 1-მდე, ყოველგვარი ნადირობა ქალ. ტფილისის გარეშემო ათკილომეტრიან ზონაში შემდეგი საზღვრებით:

აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით—მდინ. მტკვრიდან ორხევის ღელე სოფ. ორხევამდე რკინის გზასთან და შემდგომ ჩრდილოეთით ორხევის დასავლეთი ტოტის გაყოლებით სოფელ. პატარა ლილომდე და ოლგინსკომდე, ქვეშეთის გორა ქვა-ჯვარის გორამდე და, მის შემოვლით, ჩრდილოეთ-დასავლეთით დიდ-ტბისაკენ და სოფ. გლდანისაკენ მიმავალი გზით მდინ. მტკვრამდე; დასავლეთით—მდინ. მტკვრის გაყოლებით სამხრეთისაკენ მდინ. დილომის სათავემდე, მდინ. დილომის კალაპოტის ზევზევით სოფ. არაშენდამდე; შემდეგ ღელის გაყოლებით სამხრეთ-დასავლეთისაკენ, შიგ სოფ. ცოდორეთის გორა საკენჭის და გაბაშვილის ყოფილი აგარაკის მოყოლებით, და გზად გორა ქონდრის-სერის შემოვლით ეკლესიის ნანგრევების იქით; შემდეგ სოფ. ნახშირ-გორა და აქედან ღულეთი მდინ. ვერისაკენ დიდველის ადგილამდე; შემდეგ მდინ. ვერის ზევზევით და ფერმა ბეთანიდან სამხრეთით სოფ. ქვეთხეთისაკენ ტფილის-მანგლისის გზატკეცილამდე; სამხრეთით—ტფილის-მანგლისის გზატკეცილის გაყოლებით აღმოსავლეთისაკენ, თეთრი-ღუქნისა და სიგნალ-გორის გვერდავლით, ზემო გზატკეცილით კოჯრისაკენ; კოჯრის დაბლა სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ გზატკეცილით სოფ. ვაშლოვანისაკენ მდინ. გერგერის წყლის გაყოლებით ტფილის-ბორჩალოს გზატკეცილის ჯვარედინამდე; შემდეგ ამ გზატკეცილით ჩრდილოეთ-აღმოსავლეთისაკენ მდინ. მტკვრამდე სოფ. სოლან-ღულის ახლო რკინის გზის ხიდის ქვევით და მდინ. მტკვრის ქვევით მისკენ ორხევის ღელის გამოსავალამდე.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მ. დ. ა. გ. ყურულოვი.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მ. დ. ა. ვ. ლუნკევიჩი.

1936 წ. ნოემბრის 27. № 1540.

ტფილისი.

ფასი 20 კაპ.

გამომცემელი საქ. სსრ ს. კ. ს-ის 1936 წ. № 57. 3/მ. რედაქტორი მ. გამრეკელი საქმ. მმართველობა

ქალაქის ფორმატი 62X94 სმ.; 5/8 ბეჭდვ. ფურც.; 1 ბეჭდვ. ფურც. 48.500 სტამბ. ნიშანი

გადაცევა სტამბას 28/XI; ხელმოწერილია დასაბეჭდად 13/XII; ტირაჟი 2 000.

მთავლ. რწმ. № 870115 საქ. სახ. კომ. საბჭოს საქმ. მმართველ. სტამბა, ტფილისი. დაკ. № 1089